

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)


		31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	114 585	45 262	48 724
		114 585	45 262	48 724
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	462 430	73 198	6 246
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	104 488	238 744	10 880
მარაგები	6	1 098 092	1 135 742	656 623
		1 665 010	1 447 684	673 749
მთლიანი აქტივები		1 779 596	1 492 947	722 472
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 281 295	977 748	357 806
		1 281 395	977 848	357 906
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	7	160 450	-	-
		160 450	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	140 036	3 824
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	337 751	334 654	360 742
საგადასახადო ვალდებულებები			40 409	
		337 751	515 100	364 566

მთლიანი ვალდებულებები	498 201	515 100	364 566
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	1 779 596	1 492 947	722 472

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზარიძე



8 - 22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ბასა სერამიკა“


მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

		31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	9	3 371 030	3 396 623
თვითღირებულება		(2 240 023)	(2 241 813)
საერთო მოგება		1 131 007	1 154 810
სხვა შემოსავლები		18 060	3 018
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(707 210)	(511 723)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(22 253)	(14 116)
სხვა ხარჯები		(574)	(2)
საოპერაციო მოგება		419 031	631 987
ფინანსური შემოსავალი		-	874
ფინანსური ხარჯი		(6 151)	(12 920)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(6 151)	(12 046)
მოგება დაბეგვრამდე		412 880	619 941
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		412 880	619 941
მთლიანი სრული შემოსავალი		412 880	619 941

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზარიძე



8-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მოლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	100	-	357 806	357 906
წმინდა მოგება	-	-	619 941	619 941
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	619 941	619 941
2018 წლის 31 დეკემბერი	100	-	977 748	977 848
წმინდა მოგება	-	-	412 880	412 880
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	412 880	412 880
გაცემული დივიდენდი	-	-	(109 333)	(109 333)
2019 წლის 31 დეკემბერი	100	-	1 281 295	1 281 395

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზარიძე



8 - 22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ბასა სერამიკა (შემდგომში – კომპანია) (406024234) დაფუძნდა 2010 წლის 14 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, მოსკოვის გამზ. კორპ. 11, ბინა 13

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა კერამიკული ფილებით: კაფელი, მეტლახი

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2018 წლის და 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2018 და 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია უკანდაბრუნებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	ცვეთის ნორმა (%)
ოფისის აღჭურვილობა	20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20
ტრანსპორტი	20
სხვა ძირითადი საშუალება	15

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შემენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
1 იანვარი 2018	8 288	34 845	5 591	48 724
შემოსვლა	8 456	-	3 919	12 375
გასვლა				
31 დეკემბერი 2018	16 744	34 845	9 510	61 098
პერიოდის ცვლა	(8 139)	(3 782)	(3 915)	(15 836)
გაუფასურება				
გასვლა				
ცვლა და გაუფასურება	(8 139)	(3 782)	(3 915)	(15 836)
1 იანვარი 2019	8 605	31 062	5 595	45 262
შემოსვლა	32 669	29 674	38 851	101 194
გასვლა		(5 886)		(5 886)
31 დეკემბერი 2019	41 274	54 850	44 446	140 570
პერიოდის ცვლა	(5 273)	(10 970)	(9 742)	(25 985)
გაუფასურება	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ცვლა და გაუფასურება	(5 273)	(10 970)	(9 742)	(25 985)
31 დეკემბერი 2019	36 001	43 880	34 704	114 585
წმინდა საბალანსო ღირებულება				-
1 იანვარი 2018	8 288	34 845	5 591	48 724
1 იანვარი 2019	8 605	31 062	5 595	45 262
31 დეკემბერი 2019	36 001	43 880	34 704	114 585

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფული საღაროში	297 186	50 199
ეროვნული ვალუტა ბანკში	2 458	22 619
უცხოური ვალუტა ბანკში	162 786	379
სულ	462 430	73 198

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	70 693	228 071
გადახდილი ავანსები	33 795	10 673
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	-
სულ	104 488	238 744

6. მარაგები

	2019	2018
ნედლეული და მასალები	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	1 098 092	1 135 742
სულ	1 098 092	1 135 742

7. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 10 აპრილი 2025 წელი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4%.

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	312672	301 214
მიღებული ავანსები	25 079	12 940
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	20 500
სულ	337751	334 654

9. ამონაგები

ამონაგები

	2019	2018
საქონლის გაყიდვა	3 371 030	3 396 623
სულ	3 371 030	3 396 623

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(429 285)	(357 455)
მივლინების ხარჯები	(11 100)	(4 327)
სხვა ხარჯი	(21 058)	(19 117)
საწვავი	-	-
ტრანსპორტირების ხარჯი	(26 119)	(3 226)
იჯარის ხარჯი	(174 743)	(95 186)
ოფისის ხარჯი	(8 343)	(8 847)
კომუნალური ხარჯები	(7 405)	(5 762)
კომუნიკაციის ხარჯები	-	-
დაზღვევის ხარჯი	(368)	(1 103)
რემონტი	-	-
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(2 805)	(866)
ცვეთა და ამორტიზაცია	(25 984)	(15 836)
სულ	(707 210)	(511 723)

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

12. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს.